

ბებრები

ხელის გულივით სწორია აზნაური ბეგლარის ფრჩხილის ოდენა ეზო. ნაშუადღევს სიოს ქინძისა, პიტნისა და ომბალოს სუნი ბოსტნიდან მეორე მხარეზე გაშენებულ ვენახში გადააქვს. წნელის ღობე, კვინძები და ყორე გადახლართულია მაყვლით; დაუღლული ღორი ამოთ ღრუტუნებს-შემოსვლას ვერ ახერხებს. ყავარაყრილი ორსართულიანი პატარა ოდის პალატში იცოხნება ცალი ხარი და ქალბატონი ეკატერინეს უშობელი. ზედა სართულის აივანრე მოსჩანს კედელზე ჩამოკიდებული სასროლი ბადე და მოძველებული კეხი. ოდის წინ ნიგვზის ძირში გაფენილ ჭილოფზე წევს პერანგის ამარა, წაღებგახდილი ბეგლარი. გრძელ სკამზე გულმკერდს იმმუმნის მძინარე ეკატერინე.

დაცხრა მზე. ჩრდილმა მოიკიდა ფეხი. მეზობლებმა ფანჯრები გააღეს. დახურული ოთახიდან ხალხი ჰაერში გამოეფინა.

ეკატერინემ ძილში მოიგერა ბუზი.

-- ქალო!-- მთქნარებით და ზმორებით წამოიძახა ბეგლარმა და სკამლოგინზე წამოჯდა, -- გეყოფა, ბატონო, ამდენი ძილი, დეიხაშმები... ქე შემოუქროლა პატარეი, გაგრილდა ქვეყანა.

ეკატერინე: შენ რა გიჭირს, მიწაზე იწევი: აქანე კი სული კი-

ღამ წამივიდა... ი სიზმარი რომ არ დამსიზმრებოდა, მგონია,

შევიშლებოდი... ბუზებიც, რომ უფრო ეტანებიან...

ბეგლარი: რა დაგესიზმრა, ჩემო ეკატერინე?

ეკატერინე: მიხვდი აბა...

ბეგლარი: რა ვიცი, შე ქალო! ანგელოზი დეგესიზმრებოდა, აბა

სხვა რა იქნებოდა?

ეკატერინე: (მაცდურად) ანგელოზი კი არა...

ბეგლარი: აბა?

ეკატერინე: (იცინის)... შენ!.. (სიყვარულით) კი არ დამსიზ-

მრებია... ძილში მომაგონდა, რაც წინეთ ვნახე.

ბეგლარი: მითხარი, ჩემო ეკატერინე... (და დაგლეჯილ ჭილოფს

სკამისკენ მისწევს; ეკატერინე წამოჯდება სკამზე, შიშველ

ფეხს ჭილოფზე დადგამს; ბეგლარი გვერდში მიუჯდება.

შავი შარვალი და თეთრი შალის წინდები აცვია)

ეკატერინე: პირველად რომ გევეცანით ერთმანეთს... შენ ოქ-

როსფერი ბოხობი გეხურა, ლურჯ ახალუხზე წაბლისფერი

ჩოხა გეცვა... შავი წულამესტი სირმებით გქონდა მოქარგუ-

ლი... თეთრ ცხენზე იჯექი და ჭიშკარში ჩამოაჭენე... გახსოვს?

ბეგლარი: როგორ არა!..

ეკატერინე: აჯირითებდით ცხენებს შენ და --- აცხონოს ღმერთ-

მა--საწყალი პეტრე...

ბეგლარი: მახსოვს... მახსოვს, როგორ არა. შენი ეშხით არ ვიზო-

გავდი თავს... კაბა ჭადრაკული გეცვა და ზედატანი სახელო-

გამოშვებული წითელი; თავი თეთრი პეპლებიანი ბლონდით

წაგეკრა... გიხდებოდა აივნის ბირკვილზე დაყრდნობა... გა-

საფრენ ჩიტსავით შემკრთალი, ყურადღებით გვათვალიერებ-

დი... გახსოვს?

ეკატერინე: რავა არა?! რავა არა?! მაინც ხის ტოტმა, რომ ქუ-
დი გადაგიგდო და შენ გადმოიხარე ასაღებათ... ხუჭუჭი თმა
გადმოიყარა... თვალის დაშორება არ მინდოდა და თან შიშით
თვალს ვხუჭავდი, ხეს არ დაეტაკოს-მეთქი. ბესარიონმა მერე
რომ ლაგამში ხელი გტაცა, ძალი-ძალით, ძლივს ჩამოგახ-
ტუნა... ჩემი ბრალი იყო--მე შევეხვეწე... ზევით რომ ამო-
დი... ნასვამი, ნაჯირითევი... სახე გაგწითლებოდა... ყვითელი
შავარშიანი ცხვირსახოცით იწმენდდი შუბლრი ოფლის წვე-
თებს... როგორ გშვენოდა კოკობი უღვაში, დაკრაკნილი წვე-
რი... რამხელა თვალებს აბრიალებდი! ხანჯალზე რომ ხელს
დაიდებდი, ასე ვფიქრობდი--ამიყვანდეს, წამიყვანდეს-მეთქი-
გახსოვს?

ბეგლარი: ჰო, ჰო, და შენ წითელ ტუჩებს რომ ჩავაჩერდი,
თეთრ კბილებს და შავ-შავ თვალებს, შენი წასვლა ვერ მო-
ვითმინე და, როცა შებრუნდი, ხელი მინდოდა მეტაცნა ტევ-
რათ კოჭებზე ჩამოყრილ ნაწნავებში... პეტრემ ხელი ამიკრა...
სხვებმაც შემამჩნიეს... შეიქნა მიწევ-მოწევა, გახსოვს?

ეკატერინე: როგორ არა? მერე მთელ დღეს დამცინოდენ,
მაწვალებდენ...

მუსაიფის დროს ბეგლარი ხელს მოხვევს; ეკატერინე თავს გულ-
ზე დაადებს; მოგონებათა ბურუსში გახვეულნი ჩუმათ სხედან, და
ძნელი გამოსაცნობია, სთვლემენ თუ გაქვავებულან.

1920 წ.